ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №57

29.01.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:30 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი;
6. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021);

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021);

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021);

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021);

- **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321027104-03; 28.01.2021);**

- **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032036621-03; 31.12.2020).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

სხდომა წარიმართა სპორტისა და ახალგაზრულ საკითხთა კომისიასთან ერთად.

მომხსენებლები:

- **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **ირაკლი თავართქილაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო“-ს უფროსი;

- **მარიამ კვერნაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო“-ს უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძე - მოგესალმებით, დღის წესრიგში გვაქვს ექვსი საკითხი. დღეს ჩვენ დედაქალაქის ოთხ რაიონში ვამტკიცებთ ახალ გამგებლებს. მაჟორიტარი დეპუტატებისთვის და არა მარტო მათთვის, ძალიან მნიშვნელოვანია რაიონულ გამგეობებთან ხშირი კავშირი და მთელი რიგი პროექტების ერთობლივი განხორციელება, მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც იკავებდნენ ამ თანამდებობებს და წარმატება მინდა ვუსურვო ახალ კანდიდატებს.

1.,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021):

ვ.ჭიღლაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კვინიკაძის კანდიდატურას, ვითხოვთ დანიშვნის შესახებ თანხმობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03210281-03; 28.01.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2.,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021):

ვ.ჭიღლაძე - წარმოგიდგენთ გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის კანდიდატურას, ვითხოვთ დანიშვნის შესახებ თანხმობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე

ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03210281-03; 28.01.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3.**,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021):**

ვ.ჭიღლაძე - წარმოგიდგენთ დიდუბის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას კანდიდატურას, ვითხოვთ დანიშვნის შესახებ თანხმობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03210281-03; 28.01.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03210281-03; 28.01.2021):**

ვ.ჭიღლაძე - წარმოგიდგენთ კრწანისის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის კანდიდატურას, ვითხოვთ დანიშვნის შესახებ თანხმობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03210281-03; 28.01.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5.**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321027104-03; 28.01.2021):**

გ. თალაკვაძე – მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ბიუჯეტში ცვლილებებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2021 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების **(69 434,2 ათასი ლარი)** გამოყენების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილის გათვალისწინებით, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად, მცირდება ქონების გადასახადი **15 000,0 ათასი** ლარის და დამატებული ღირებულების გადასახადი **226,4 ათასი** ლარის ოდენობით. ასევე, იზრდება პროცენტები - **900,0 ათასი** ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ **55 107,8 ათასი** ლარით და შეადგენს **1 105 410,3 ათას** ლარს. იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია** (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 13 500,0 ათასი ლარით.
- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია** (კოდი 01 02 05) - 25 000,0 ათასი ლარით.
- **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია** (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 3 447,3 ათასი ლარით.
- **სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო** (კოდი 10 18) - 200,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 035 976,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 005 832,9 ათასი** ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 105 410,3 ათასი ლარით.

შ. ოგბაიძე - წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ცხადჰყოფს, რომ ტრანსპორტის განვითარება კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და დედაქალაქის ბიუჯეტიდან კვლავ აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0321027104-03; 28.01.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032036621-03; 31.12.2020):

ი. თავართქილაძე - მოგესალმებით, საკითხი ეხება თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ,,ქონების მართვის სააგენტოს“, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „ალმას“ შორის 2019 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების თანახმად, შპს „ალმას“ 20 (ოცი) წლის ვადით, 2039 წლის 6 თებერვლამდე გადაეცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება, ასევე, შპს „ალმას“ გააჩნია უფლებამოსილება რეკლამა განათავსოს შესაბამისი ნებართვის მქონე თეთრი ფერის ტაქსებზეც.

რეკლამის განთავსების უფლების საფასური ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა **14 547 124.99 ლარის** ოდენობით, რომელიც წინასწარ იქნა გადახდილი.

ახალი კორონა ვირუსის - „COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევებისა და რეგულაციებიდან გამომდინარე

შეუძლებელი გახდა რეკლამის განთავსების უფლების სრულფასოვნად რეალიზაცია უფლების მიმღების (შპს ,,ალმა“) მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ალმამ“ განცხადებებით მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ,,ქონების მართვის სააგენტოს“, წარმოადგინა სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნები, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გახანგრძლივებულ უნდა იქნას მისი ამოწურვიდან (2039 წლის 6 თებერვალი) 23 თვით, რათა კომპენსირებული იქნეს დროის ის მონაკვეთი, როდესაც უფლების მიმღებმა ვერ შეძლო გარე რეკლამების რეალიზაცია და შემოსავლის მიღება.

გარდა ამისა, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, შპს „ალამამ“ ასევე მოითხოვა ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების გადავადება დამატებით 6 (ექვსი) თვით.

მხარეების მოლაპარაკებების შედეგად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, მიღწეულ იქნა შეთანხმება, ხელშეკრულების ვადის 2040 წლის 7 აგვისტომდე გადავადების შესახებ, ხოლო გადაანგარიშების (კორექტირების) შედეგად განსაზღვრული თანხის გადახდის არაუგვიანეს 2021 წლის 19 აგვისტომდე გადავადების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/ნ:202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032036621-03; 31.12.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე